აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №24

18/09/2024 **ქ. ბათუმი**

„ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1 ამ განკარგულებით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ გაცემული ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარდგენილ პარტიულ სიას დაერთვება თუ ის გაცემულია პარტიული სიების წარდგენის ბოლო ვადამდე 20 კალენდარული დღის ვადაში.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი